



onSET - ტესტზე რეგისტრაციისა და მისი ჩატარების თარიღები

11 ნოემბერი (ოთხშაბათი)	რეგისტრაციის ვადა: 9 ნოემბერი / 12. 00 სთ.
18 ნოემბერი (ოთხშაბათი)	რეგისტრაციის ვადა: 16 ნოემბრამდე / 12.00 სთ.
30 ნოემბერი (ორშაბათი)	რეგისტრაციის ვადა: 27 ნოემბერი / 12.00 სთ.
4 დეკემბერი (პარასკევი)	რეგისტრაციის ვადა: 1 დეკემბრამდე / 12.00 სთ.

რეგისტრაცია onSET ტესტზე

ნაბიჯი 1. რეგისტრაცია

- შებრძანდით საიტზე: www.onset.de
- მონიშნეთ ზედა მარჯვენა კუთხეში „**Registration/Registrieren**“ და შექმენით თქვენი გვერდი (**einen Account**).
- მოხვდებით რუბრიკაში **Registration/Registrierung**. შეავსეთ თქვენი პირადი მონაცემები. ველში **Country/City/Test centre** ან **Land/Stadt, Testzentrum** მიუთითეთ საქართველო/თბილისი/DAAD.
- მას შემდეგ, რაც შეავსებთ ყველა გრაფას, მიუთითეთ „**next/weiter**“.
- შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი. მიუთითეთ „**next/weiter**“.
- მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ გადაამოწმებთ მონაცემებს, მიუთითეთ „**Daten senden**“. თქვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოგივით შეტყობინება, რომ დარეგისტრირებული ბრძანდებით. აქვე მიიღებთ თქვენ მიერ რეგისტრაციისას მითითებულ მომხმარებლის სახელს და პაროლს.

ნაბიჯი 2. TAN-კოდის მიღება DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრისგან

- პირველი ნაბიჯის გავლის შემდეგ, შეძლებისდაგვარად დროულად დაუკავშირდით DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრს (info@daad-georgia.org) და მოითხოვეთ TAN-კოდი. **კოდის შექმნა უფასო !**

ნაბიჯი 3. გამოცდის თარიღის და დროის შერჩევა

- TAN-კოდის მიღების შემდეგ, ისევ შედიხართ საიტზე **www.onset.de** და ნიშნავთ „**BOOK A TEST/Prüfung buchen**“, შემდეგ კი „**next/weiter**“.
 - შეავსეთ გრაფები **Country/City/Test centre** ან **Land/Stadt, Testzentrum**. შემდეგ ისევ მონიშნეთ „**next/weiter**“.
 - მოხვდებით რუბრიკაში **Please enter your TAN here/TAN eingeben**. შეიყვანეთ გრაფაში კოდი/ნომერი, რომელიც თქვენ DAAD - ისგან მიიღეთ.
 - **Select day and time** - გამოჩნდება კალენდარი. დააწკაპუნეთ კალენდრის იმ დღეზე, რომელიც თქვენთვის გამოცდის დასაწერად მისაღებია. ამის შემდეგ მონიშნეთ მისაღებია თუ არა საათი, რომელიც შემოთავაზებულია/თუ რამდენიმე დროა შემოთავაზებული, მონიშნეთ თქვენთვის სასურველი. მონიშნეთ „**next/weiter**“.
1. მონიშნეთ ინგლისურ ენაზე გასურთ ტესტის დაწერა, თუ გერმანულზე? მონიშნეთ „**next/weiter**“.
 2. **Your booking / Ihre Buchung** - კიდევ ერთხელ გადახედეთ თქვენს მიერ მითითებულ ტესტის დღესა და დროს. თუ ისინი მისაღებია თქვენთვის, მონიშნეთ „**send Booking/Buchung senden**“. თუ ენის არჩევანში შეცდით, მონიშნეთ „**change test language**“, დაბრუნდით უკან და შეცვალეთ ენა.

რეგისტრაციის დასტურს მიიღებთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით (თუკი კოდი სწორად შეიყვანეთ).

მნიშვნელოვანია, საიტზე დარეგისტრირების შემდეგ ჩაინიშნოთ მომხმარებლის სახელი და პასვორდი, რადგან უპრობლემოდ შეძლოთ განმეორებით სისტემაში შესვლა. რაც მთავარია, მომხმარებლის სახელი და პასვორდი თან უნდა იქონიოთ გამოცდისას. სხვა შემთხვევაში მოგიწევთ ახალი კოდის შექმნა, თუკი იქნება გასაცემად დარჩენილი (?).

თუკი შეამჩნევთ, რომ TAN-კოდის შეყვანის შემდეგ არაფერი იცვლება და კოდი არ მუშაობს, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრს (info@daad-georgia.org).

გთხოვთ, დროულად გამოცხადდეთ ტესტზე გოეთეს ინსტიტუტში (მე-3 სართული, კომპიუტერების ოთახი) გამოცდის თქვენ მიერ შერჩეულ დღესა და დროს:

წარმატებას გისურვებთ!